Tempus პროგრამის MathGeAr პროექტის მიზანს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის უნივერსიტეტებში საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით მათემატიკის კურიკულუმების მოდერნიზება.

პროექტის კოორდინატორია გერმანიის ზაარლანდის უნივერსიტეტი. პროექტში ჩართულნი არიან საქართველოს, სომხეთის, საფრანგეთის, გერმანიისა და ფინეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. საქართველოს მხრიდან პროექტში მონაწილეობენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია გრენა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს უნივერსიტეტი.

პროექტის ფარგლებში სტუ-ს ორგანიზებით 2017 წ. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში MathGeAr პროექტის დასკვნითი კონფერენცია გაიმართა, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ პროექტის კონსორციუმის წევრი უნივერსიტეტების წარმომადგენლები როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან: გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ფინეთიდან და სომხეთიდან.

ხანგრძლივობა:
2013 – 2016 წწ.

ვებგვერდი: http://www.mathgear.eu/